აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 6

31/07/2026 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშის დადგენის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის პირველი პუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკი, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №11 განკარგულება;

2. „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №12 განკარგულება.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე პაატა კეშელავა

კომისიის მდივანი ტარიელ გოგიტიძე